„მხატვრობა კედლის მხატვრობის შემდეგ“

შოთა აფციაური

სალომე დუმბაძე

მარიამ ინაშვილი

ნინა კინწურაშვილი

სოფო კობიძე

ლევან ჭოღოშვილი

მარიანა ჭყონია

24 სექტემბერი - 29 ოქტომბერი, 2023

საქართველოში, კედლის მხატვრობის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ და მისი ნიმუშების ხილვის ყოველდღიურმა შესაძლებლობამ, დღევანდელობაში, თითქოს, დაუკარგა მას აქტუალობა და გააფერმკრთალა რა მისი შთამბეჭდაობა. გამოფენა - „მხატვრობა კედლის მხატვრობის შემდეგ“, ერთგვარი გადააზრებაა ამ ტრადიციისა, სადაც თვალსაჩინოა თუ როგორ შეიძლება ითარგმნოს მონუმენტური მხატვრობა დაზგურად - ესაა შვიდი ქართველი ხელოვანის ნამუშევართა ჯგუფური გამოფენა, რომლებიც, ფორმითა და შინაარსით ეხმიანებიან გამოფენის სახელწოდებას .
გამოფენაში მონაწილე ხელოვანები ერთმანეთის თანამედროვენი, თუმცა, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები არიან - ლევან ჭოღოშვილის, მარიანა ჭყონიას, სოფო კობიძის, შოთიკო აფციაურის, ნინა კინწურაშვილის, სალომე დუმბაძისა და მარიამ ინაშვილის აქ წარმოდგენილი ნამუშევრები ქართული კედლის მხატვრობის რემინისცენციის მცდელობაა.
ქრისტიანულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული ფრესკული პასაჟები აირეკლება გამოფენაზე წარმოდგენილ აბსტრაქციებში, რაც პირველ რიგში, ლევან ჭოღოშვილის „ხარების“ (1985 წ.) კომპოზიციითა თუ ნინა კინწურაშვილის დიპტიქით არის თვალსაჩინო.
მეორე მხრივ კი, დამთვალიერებელს აქვს საშუალება ნამუშევრებთან სუბიექტური მიმართებების დამყარებისა, რასაც, გარდა მათი მხატვრული თავისებურებისა, გამოფენის არქიტექტონიკაც განსაზღვრავს.
ამრიგად, გამოფენის კონცეფცია, რომელიც საერთო სახელდების შინაარსში უნდა იყოს ჩაწერილი, ერთ სივრცეში განლაგებული შვიდი დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ნამუშევრის ერთიანობადაც შეიძლება აღვიქვათ, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ფორმათა თავისუფლება და ფერთა სახასიათო გამა იძლევა.

ტექსტი - ნინო ფანჩულიძე

www.easharedspace.ge
hi@easharedspace.ge

P. Ingorokva Street 10/2,
0108, Tbilisi, Georgia

შოთიკო აფციაური (დაბ. 1997) ცხოვრობს და მუშაობს თბილისში, საქართველო. 2018 – 2015 წ.წ. მან სწავლა დაამთავრა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის არქიტექტურის, დიზაინის და ხელოვნების სკოლა (VAADS). მას გაუვლია რამდენიმე საერთაშორისო რეზიდენცია, როგორიცაა: „-Residency Unlimited (RU)“, „Artists Alliance inc (AAI)“, და სხვ. იგი რამდენიმე სახელოვნებო პრიზის მფობელია.

სალომე დუმბაძე (დაბ. 1992) ცხოვრობს და მუშაობს თბილიში, საქართველო. მან ისწავლა ფერწერა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და დაასროლა თბილისის თანამედროვე ხელოვნების ცენტრის არაფორმალური სამაგისტრო კურსი (CCA Tbilisi). დუმბაძე ყოფილა ნაჩვენები რამდენიმე ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენაზე. ამჟამად ემზადება მისი პირველი სოლო გამოფენისთვის იტალიაში.

მარიამ ინაშვილი (დაბ. 2001) ცხოვრობს და მუშაობს თბილისში, საქართველო. მან ისწავლა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის არქიტექტურის, დიზაინის და ხელოვნების სკოლა (VAADS) და ამჟამად სწავლას განაგრძობს დუსელდორფის სამხატრო აკადემიაში და როგორც მიწვეული სტუდენტი შთედელის სამხატვრო სკოლაში, ფრანკფურტში, გერმანია. ინაშვილი მრავალ მედიუმს იყენებს, როგორიცაა ფერწერა, სკულპტურა, ინსტალაცია, კოლაჟი, ტექტი და პრინტი.

ნინა კინწურაშვილი (დაბ. 1992) მულტიდისციპლინარული ხელოვანია, რომელიც დაიბადა თბილისში 1992 წელს. მან დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია ფერწერის მიმართულებით, შემდეგ კი მოიპოვა მაგისტრის ხარისხი ახალი მედიის ხელოვნებაში აიოვას უნივერსიტეტში, სადაც პარალელურად ასწავლიდა ბაკალავრის სტუდენტებს. ფერწერასა და გრაფიკისთან ერთად, ხელოვანი მუშაობს სხავადასხვა დისციპლინებში, როგორიცაა: ვიდეო, საუნდი, ციფრული მედია, პერფორმანსი და სკულპტურა. მისი ნამუშევრები წარმოადგენს აბსტრაქტულ დეკონსტრუქციას და რეფლექსიას გენდერზე, თეოლოგიასა და მისტიციზმზე, კულტურულ პარადოქსებსა და მატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაზე. სოლო პროექტებთან ერთად, კინწურაშვილის ნამუშევრები გამოფენილია ჯგუფურ გამოფენებში, როგორიცაა: Tate Modern-ში ‘Future Late’ შოუს ფარგლებში, Chicago Wetpaint Biennial, Zhou B Gallery -ში და PS1 (აიოვა).

სოფო კობიძე (დაბ.1987) ცხოვრობს და მუშაობს თბილისში, საქართველო. მის ძირითად სამუშაო მედიუმს წარმოადგენს ფერწერა, გრაფიკა, ფოტო და ინსტალაცია. კობიძე სახელოვნებო ორგანიზაციის ‘ობსკურა’ს თანა-დამფუძნებელია. მისი უახლესი გამოფენების ჩამონათვალია: ‘თეთრი დათვი ზაფხულობით იღვიძებს’, კურორტი, 2023, ‘ფერ-წერა, თბილისის თანამედროვე ხელოვნების ცენტრი,2022, ‘La Pyramide de Ponzi’, გალერეა Valerie Delaunaz, პარიზი, საფრანგეთი და სხვ.

ლევან ჭოღოშვილი (დაბ.1953) 1970-1976 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. 1973 წლიდან, ფაქტობრივად, არაოფიციალური მხატვარი ხდება და მონაწილეობის ე. წ. მიწისქვეშა გამოფენებში. 1972 წელს იწყებს ძალაუფლებისა და ეროტიზმის თემაზე თავისი სურათების პირველ სერიის „ვენერა და მარ(ქ)სის“ შექმნას, რომელსაც 1993 წელს ასრულებს.1973 წლიდან, იქმნება მისი ყველაზე ცნობილი სერია, ე. წ. ფერწერა-ფოტოებიდან, სურათები-ფოტოებიდან, სადაც ის უკვე მიზანმიმართულად იყენებს ანექსია-გასაბჭოებამდელ დოკუმენტებს - საოჯახო ფოტოსურათებს. პარალელურად, 1975 წელს ქმნის „ზურაბ არაგვის ერისთავის მკვლელობის“ პირველ ვერსიას, რომლის ახალ ვერსიასაც მოგვიანებით, 1983 წელს, ასრულებს. მისი „განადგურებული არისტოკრატია“ 1973-89 წლებში იქმნებოდა.

მარიანა ჭყონია (დაბ. 1969) ცხოვრობს და მუშაობს თბილისსა და ნუკრიანში, საქართველო. არქიტექტურის და დიზაინის გამოცდილებით, ჭყონიამ ტექსტილის ხელოვნებაზე მუშაობა პანდემიის დროს დაიწყო. ჭყონია ამ მხრივ, თვით-ნასწავლი ხელოვანია, რომლის პრაქტიკას წინ უძღვის დარგის სიღრმისეული კვლევა, განსაკუთრებით კი თექის წარმოების ტრადიციის შესწავლა თუშეთსა და კახეთში, საქართველო. იგი გამოფენილი ყოფილა ე.ა. საგამოფენო სივრცეში, გალერეა Stations-ში, ბერლინი, გერმანია. მისი მომავალი გამოფენები მოიცავს ინსტიტუციურ გამოფენებს ბონსა და პოტსდამში, გერმანია.